აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა ურყევი ნებაა უზრუნველყონ სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, განურჩევლად სტუდენტების სქესისა, კანის ფერისა, აღმსარებლობისა, პოლიტიკური შეხედულებისა, მოქალაქეობისა და ეთნიკური კუთვნილებისა, აკადემიური მოსწრებისა და სოციალური მდგომარეობისა, ხელი შეუწყონ მათ ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი უმაღლესი განათლების მიღებასა და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებაში, ეყრდნობიან რა უნივერსიტეტის მრავალწლიან ტრადიციებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ დებულებას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
2. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, არჩევნების საფუძველზე არჩეული დელეგატებისა და საკუთარი სურვილით გაწევრიანებული წევრებისაგან;
3. სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს რაიმე სახით ჩაერიოს ან ზემოქმედება მოახდინოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაზე.
4. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და აქვს საკუთარი ბეჭედი, შტამპი და სხვა ატრიბუტიკა. ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ საჯაროა.
5. სტუდენტური თვითმმართველობისთვის განკუთვნილი დახურული განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია, მათი გახსნა და ცენზურა აკრძალულია, ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ადრესატს.
6. სტუდენტური თვითმმართველობის მისამართია: საქართველო, 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი.

მუხლი2. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ა) სტუდენტი – პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;

ბ) უნივერსიტეტი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს.

დ) სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოების წევრი სტუდენტებისაგან შემდგარი ორგანო.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:
1. დაიცვას სტუდენტების უფლებები და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან.
2. ხელი შეუწყოს სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში.
3. დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში, პროფესიული უნარჩვევების გამომუშავებაში და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში.
4. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა; მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება ბოლონიის პროცესის შესახებ და ორგანიზება გაუწიოს სტუდენტების მონაწილეობას ყველა იმ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და სადისკუსიო ფორუმებში, რომელიც შეეხება ევროპაში უმაღლეს განათლებას.
5. ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამოქალაქო განათლების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას. ასევე გასწიოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა სტუდენტებში.
6. ოპტიმალური პირობების შექმნა სტუდენტთა დასვენების, ყოფის, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.
7. ხელი შეუწყოს სტუდენტებს, როგორც კომპეტენტურ, აქტიურ და კონსტრუქციულ პარტნიორებს, რათა გახდნენ ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა განათლების სფეროში ცვლილებების შესატანად.
8. დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. სტუდენტური თვითმმართველობა საკუთარი საქმიანობის წარმართვის დროს ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:
ა) პატიოსნება - სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და წარმომადგენლები ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ეფექტურად. მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ ტიპის ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის, სტუდენტების, საუნივერსიტეტო საზოგადოებისა ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დისკრედიტაციისაკენ;
ბ) საჯაროობა - ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის მისიის, სტრუქტურის, საქმიანობისა და ფინანსების შესახებ არის საჯარო, ხოლო ორგანიზაციის მუშაობა გამჭვირვალე;
გ) პასუხისმგებლობა - სტუდენტური თვითმმართველობის თითოეული წევრი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თავის საქმიანობას როგორც უნივერსიტეტში, ასევე, უნივერსიტეტის გარეთ მესამე პირებთან ურთიერთობისას;
დ) თანასწორობა - სტუდენტური თვითმმართველობის წევრები აკადემიურ პროცესში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით სხვა სტუდენტებთან მიმართებაში;
ე) ურთიერთთანამშრომლობა - სტუდენტური თვითმმართველობის თითოეული წევრი მოქმედებს შეთანხმებულად, სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
ვ) ნეიტრალიტეტი - სტუდენტური თვითმმართველობა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ინარჩუნებს პარტიულ ნეიტრალიტეტს;

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

სტუდენტურ თვითმმართველობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს:

ა) შეიმუშავოს და წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს წინადადებები ფაკულტეტის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ბ) პერიოდულად, სხვადასხვა მეთოდით მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება.
გ) უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;
დ) მოაწყოს საგანმანათლებლო, სოციალური, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო და სხვა სახის ღონისძიებები.
ე) ითანამშრომლოს საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს და უცხოეთის სასწავლებლების სტუდენტურ თვითმმართველობებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ სტუდენტურ ორგანიზაციებთან და გაერთიანებებთან.
ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით არაკრძალული და უმაღლესი განთლების შესახებ კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელი სხვა მოქმედებები.

მუხლი 6. სტუდენტური თვითმართველობის მართვის ორგანოები

სტუდენტური თვითმმართველობის გამართულ და მიზანმიმართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს თვითმმართველობის მართვის ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ უფელბამოსილებას ამ დებულების შესაბამისად. თვითმმართველობის მართვის ორგანოებია: სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი და თვითმმართველობის გამგეობა.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი

1. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი არის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო და სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი ერთეული.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი შედგება უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოების წევრი ყველა სტუდენტისგან. ფაკულტეტების საბჭოებში სტუდენტები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნების საფუძველზე ოთხი წლის ვადით.
3. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის სპიკერის და ვიცე-სპიკერის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს პარლამენტის მინიმუმ 4 წევრისგან შემდგარ ჯგუფს. არჩევა ხდება სახელობითი კენჭისყრით, სრული შემადგენლობის მცირე უმრავლესობით.
4. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი:
ა) განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის წლის ძირითად პრიორიტეტებს.
ბ) საქართველოს კანონმდებლობის ან ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 3/4-ით ახდენს თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტს.
გ) შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი წლის ვადით ამტკიცებს თვითმმართველობის გამგეობას.
დ) სიითი შემადგენლობის 3/4-ით შეაქვს ცვლილებები თვითმმართველობის დებულებაში და თვითმმართველობის საარჩევნო დებულებაში.
ე) ისმენს დეპარტამენტების დირექტორების სემესტრულ ანგარიშებს და წარადგენს წინადადებებს კონკრეტული დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტის 5 წევრისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი აყენებს გამგეობის წევრის პასუხისმგებლობის საკითხს;
ვ) ამტკიცებს და უფლებამოსილებას უწყვიტავს სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს;
ზ) საჭიროების შემთხვევაში ქმნის დროებით კომისიებს, რომლებიც თავის უფლებამოსილებას წყვეტენ საკითხის ამოწურვის შემდეგ;
4. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის წევრი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
გ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსი;
დ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
ე) დაესწროს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის სხდომებში;
ვ) რეგულარულად გაეცნოს საინფორმაციო დაფაზე გამოკრულ განცხადებებს და ფლობდეს ინფორმაციას სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;
5. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ავტომატურად, ვადამდე წყდება:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე
ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში
გ) ქმედუუნაროდ გამოცხადების ან უგზოუკლოდ დაკარგვის შემთხვევაში
დ) კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში
ე) სტუდენტის სტატუსის შეწვეტიდან ოთხი თვის განმავლობაში მისი აღუდგენლობის შემთხვევაში
ვ) პარლამენტის სხდომაზე ზედიზედ ხუთჯერ არ დასწრების შემთხვევაში.
6. სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის სხდომებს ხელმძღვანელობს პარლამენტის სპიკერი. პარლამენტის სპიკერის სხდომეზე არ დასწრების შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს ვიცე-სპიკერი. სხდომის მოწვევა შეუძლია სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის სპიკერის, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, და პარლამენტის წევრთა 1/6-ს.

მუხლი 8. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

1. თვითმმართველობის პრეზიდენტი:
ა) წარმოადგენს თვითმმართველობას აწსუ-ს ხელმძღვანელ ორგანოებთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს
ბ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას
გ) იწვევს პარლამენტის სხდომებს
დ) სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს უფლება აქვს, ხოლო სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის წევრების სრული შემადგენლობის მესამედის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებულია, დანიშნოს უფლებაშეწყვეტილი წევრების ადგილზე ახალი წევრების ასარჩევად შუალედური არჩევნები. ახლად არჩეული პარლამენტის წევრები უფლებამოსილებას ახორციელებს სტატუსშეწყვეტილი წევრების დარჩენილი ვადის ამოწურვამდე.
ე) აცხადებს თვითმმართველობის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსს
ვ) წარადგენს გამგეობის წევრებს სტუდენტურ პარლამენტში დასამტკიცებლად
ზ) უშუალოდ ხელმძღვამელობს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის შემუშავების პროცესს
თ) ნიშნავს და ათავისუფლებს სტუდენტური თვითმმართველობის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეებს.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევის წესი:
ა) თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ ორი წლის ვადით, სახელობითი კენჭისყრით. არჩევნები ტარდება, ყოველ მეორე წელიწადს, აპრილის თვის პირველი ოთხშაბათს.
ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის მინიმუმ 1/5-ს.
გ) იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომლებმაც ხმების ყველაზე მეტი

რაოდენობა დააგროვა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, 10 დღის ვადაში ინიშნება პარლამენტის ხელახალი არჩევნები.
3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი პასუხისმგებელია:
ა) თვითმმართველობის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მიზნობრიობაზე.
ბ) თვითმმართველობის ქონების მდგომარეობაზე.
გ) თვითმმართველობის საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორეზე.
დ) თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ სხვა საქმიანობებზე.
4. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე წყდება:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე
ბ) საჯარო სამსახურში დანიშვნის შემთხვევაში
გ) ქმედუუნაროდ გამოცხადების ან უგზოუკლოდ დაკარგვის შემთხვევაში
დ) საქართველოს კანონმდებლობის ან ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/3-უფლება აქვს დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურა. აღნიშნულის შემდეგ იქმნება საინპიჩმენტო დროებითი კომისია, რომელიც აწარმოებს მოკვლევას მაქსიმუმ ორი თვის მანძილზე და სტუდენტურ პარლამენტს წარუდგენს შესაბამის დასკვნას, რომელსაც ასევე ეყრება კენჭი და ჩაითვლება დამტკიცებულად თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის 3/4.
ე) სტუდენტის სტატუსის შეწვეტიდან ოთხი თვის განმავლობაში მისი აღუდგენლობის შემთხვევაში.
ვ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წინააღმდეგ არ შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 43 მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნა.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა

1. გამგეობა შედგება თვითმმართველობის დეპარტამენტებისა და სამსახურების უფროსებისაგან. გამგეობას ერთი წლის ვადით, პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე, სიითი შემადგენლობის მცირე უმრავლესობით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი.
2. სტუდენტური თვითმმართველობაში ფუნქციონირებს ოთხი დეპარტამენტი, რომლებიც შედგება დეპარტამენტის დირექტორისა და დეპარტამენტის აპარატის წევრებისგან. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტებია:
ა) მეცნიერების დეპარტამენტი;
ბ) კულტურის დეპარტამენტი;
გ) სპორტის დეპარტამენტი;
დ) სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი;
3. თვითმმართველობის წლის ძირითადი პრიორიტეტების შესასრულებლად სტუდენტური თვითმმართველობაში იქმნება შესაბამისი სამსახურები, რომლის რეორგანიზაციის, დაქვემდებარების, გაუქმების, სამსახურის უფროსის დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხს წყვეტს თვითმმართველობის პრეზიდენტი.
4. თვითმმართველობის გამგეობის წევრი ვალდებულია:
ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
გ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსი;
დ) სემესტრულად ჩააბაროს ანგარიში პარლამენტს განხორციელებული საქმიანობისა და გაწეული სამუშაოს შესახებ;
ე) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
ვ) დაესწროს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს გამგეობის სხდომებში.

მუხლი 10. თვითმმართველობის წევრობა და უფლებები და მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობაში სტუდენტების გაწევრიანება ნებაყოფლობითი და თავისუფალია. გაწევრიანება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე.
2. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:
ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;
ბ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი;
გ) მიიღოს საჯარო ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან, მათი საქმიანობის შესახებ;
დ) მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისაგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
ე) წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;
3. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია
ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
გ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსი.

მუხლი 11. თვითმმართველობის შემოსავლები და გასავლები

1. სტუდენტურ თვითმმართველობას, რაიმე სახის დამოუკიდებელი, უნივერსიტეტის მიერ მიღებული ბიუჯეტიდან განცალკევებული ან მასშივე იზოლირებული მუხლი არ გააჩნია, არ ფლობს არანაირ ანგარიშს და არც რაიმე სახის ფინანსური რესურსების განკარგვას ახდენს უნივერსიტეტიდან დამოუკიდებლად. სტუდენტური თვითმმართველობა განსაზღვრავს და პასუხისმგებელია ჩასატარებელი ღონისძიებების ხარჯვითი ნაწილის მხოლოდ მიზნობრიობაზე, ხოლო შესაბამისი მომსახურეობის, საქონლის ან სამუშაოს შესყიდვა ხდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. თვითმმართველობის ღონისძიებების დაფინანსების ძირითადი წყაროა უნივერსიტეტის ბიუჯეტი. დასაშვებია თანადაფინანსების მოპოვება შემდეგი წყაროებიდან: ნებაყოფლობითი შემოწირულობები და საჩუქრები, მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება და დონორებისაგან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი. დაუშვებელია პროექტებისთვის თანადაფინანსების მოპოვება რაიმე სახის კრედიტის ან მსგავსი დანიშნულების თანხიდან.
3. თვითმმართველობა ვალდებულია გამოაქვეყნოს, მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ პერიოდული ანგარიშები და მასში დააზუსტოს თანადაფინანსების ოდენობა და უნივერსიტეტის მიერ გადახდილი თანხის მოცულობა.